



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის
სახელობის სამუსიკო კოლეჯის
დირექტორის
ბრძანებით N1/22 29.07.2016წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/13, 27.06.2019წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/37, 03.07.2020წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/17, 19.03.2021წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/41, §3. 07.06.2022წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/82 §2 13.10.2022წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/93 09.11.2022წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/101 15.11.2022წ.
ცვლილება შესულია:
ბრძანებით N1/03 13.01.2023წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯის“) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის (შემდგომში „სტუდენტის“) სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, მობილობას, მიღებული განათლების აღიარებას, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის(შემდგომში „ჩარჩო დოკუმენტის“) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ჩართვის წესს.

მუხლი 1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1.კოლეჯში მიიღებიან სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირები, რომლებიც ფლობენ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისთვის საჭირო უნარებს და სამუსიკო დისციპლინების სათანადო ცოდნას.

კოლეჯის სამუსიკო სფეროს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება აპლიკანტის მიერ პროფესიული ტესტირებისა და შესაბამისი კონკურსის (შემოქმედებითი ტურის) გავლისას მიღებული შედეგის გათვალისწინებით.

(იხ. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანება და სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი“, ბრძანება N1/59,24.07.2020წ.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოდულური პროგრამა) პირის ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება მოდულური პროგრამით, რაც ეყრდნობა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, კანონქვემდებარე აქტებს, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ სტანდარტს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება

ბ) აკადემიური შვებულება;

გ) ჯანმრთელობის პრობლემები;

დ) ორსულობა, მშობიარობა;

ე) საზღვარგარეთ გამგზავრება;

ვ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა - სასამართლოს განაჩენის კანონიერ

ძალაში შესვლამდე;

ზ) სამხედრო სამსახურში გაწვევა;

თ) ოჯახური გარემოება;

ი) სხვა არსებითი გარემოება.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია დასაბუთებული წერილობითი განცხადებით (რომელსაც უნდა დაერთოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) მიმართოს კოლეჯის დირექტორს და ითხოვოს სტუდენტის სტატუსის შეჩერება კონკრეტული ვადით.

3. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.

5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია დადგენილ ვადებში რეგისტრაციის გავლის შემდეგ. სტუდენტის აღდგენა ხორციელდება იმ სემესტრის დასაწყისში, რომელშიც შეუჩერდა სტატუსი, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში.

6. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, კოლეჯი ვალდებულია, უზრუნველყოს რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. კოლეჯის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
 - ბ) პირადი განცხადება;
 - გ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
 - დ) პროფესიული ტესტირებითა და კოლეჯის შემოქმედებითი ტურების შედეგებით ჩარიცხულთა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა;
 - ე) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;
 - ვ) გარდაცვალება;
 - ზ) სწავლის სხვა დაწესებულებაში გაგრძელება;
 - თ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - გარიცხვის გამოყენება;
 - ი) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის;
2. კანდიდატს ეძლევა კოლეჯის ფარგლებში სპეციალობის შეცვლის, სხვა პროგრამაზე ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შესაძლებლობა;
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს.
4. სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. მობილობა

4.1. რეგულირების სფერო

პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან (შემდგომში – დაწესებულება) სხვა დაწესებულებაში (შემდგომში – გარე მობილობა) და მის ფარგლებში ერთი პროფესიული ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან (შემდგომში – პროგრამა) სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში – შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურას.

4.2. გარე მობილობისა და შიდა მობილობის უფლების მქონე პირი

4.2.1. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.

4.2.2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

4.2.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

4.2.4 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია პირადი განცხადება მიზეზის მითითებით.

მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი. დაწესებულება უფლებამოსილია წესდებით განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების სხვა საფუძველიც.

4.2.5. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.

4.2.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

4.2.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან დაწესებულების წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.

4.2.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2.9. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება კოლეჯის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში – სისტემა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

4.2.10. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა ამ

მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

4.2.11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

4.2.12. პროფესიული სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან კოლეჯმა დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.

4.2.13. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის კოლეჯში პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

4.2.14 დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

15. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №135/5

4.3. მობილობის უფლების შეზღუდვა

4.3.1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N169/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

4.3.2. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

4.4. კოლეჯში მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვება და ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა

4.4.1. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

4.4.2. მიმღები კოლეჯი უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

4.4.3. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.4.4. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

4.4.5. კოლეჯი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის

შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.4.6. აღიარება ფორმდება კოლეჯის უფლებამოსილი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – კოლეჯის სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

4.4.7. კოლეჯი, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში. სისტემის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში კოლეჯი, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

4.4.8. ერთი და იმავე პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი სემესტრით ადრე.

4.4.9. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც აკმაყოფილებს.

4.4.10. სხვადასხვა პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში მობილობის შემთხვევაში სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს გასაუბრებისა ან/და გამოცდის (შემოქმედებითი ტურის) საფუძველზე, რომელიც დაადგენს მობილობის მსურველი პირის მიერ მუსიკალური დისციპლინების ცოდნის დონის თავსებადობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან /ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან.

4.4.11. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

4.4.12. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის საფუძველზე შექმნას კომისია. განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.

4.4.13. მობილობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი და იმავე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4.4.14. კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

ა) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

4.4.15. მობილობა დასაშვებია თუ არსებობს შემდეგი პირობების ერთობლიობა:

ა) დაცულია ამ მუხლით დადგენილი მობილობის ვადები;

ბ) არსებობს ვაკანტური ადგილი იმ ჯგუფში, სადაც იგეგმება სტუდენტის მობილობის წესით გადაყვანა;

გ) მობილობა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4.4.16. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს კოლეჯი.

4.4.17. სტუდენტის მობილობით გადაყვანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

4.4.18. მობილობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის / ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების

შემთხვევაში კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს მას შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით;

2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას ალტერნატიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

3. კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისობის განსაზღვრას არსებული პროგრამის ფარგლებში გავლილ და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებს/მოდულებს შორის.

4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

მუხლი 6. ფორმალური განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს დაწესებულება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის NN#121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესისა“ და წინმდებარე წესის შესაბამისად.

2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

2.1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

2.2. მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. თუ პირის მიერ გავლილი მოდულის კრედიტები

იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულისა, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.

4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღების დღიდან.
5. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - 5.1. დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;
 - 5.2. კომისიის შექმნა დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე;
 - 5.3. კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება;
 - 5.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
 - 5.5. დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემა კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.
6. დაწესებულება უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დანტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობას შემდეგნაირად:
 - 6.1. წინამდებარე წესი განთავსებულია საჯაროდ, დაწესებულების ვებ-გვერდზე;
 - 6.2. პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე მას დაწვრილებით განემარტება ფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობები, აღნიშნულის საფუძვლები და შესაბამისი პროცედურები და წესები.
7. განმცხადებლის მიერ დაწესებულებისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - 7.1. დაწესებულების დასახელებას;
 - 7.2. განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;
 - 7.3. განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
 - 7.4. განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;
 - 7.5. განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;
 - 7.6. მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;
 - 7.7. განმცხადებლის ხელმოწერას;
 - 7.8. განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.
8. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას უნდა ერთვოდეს:
 - 8.1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - 8.2. თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - 8.3. ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმალღესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან

მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. 9. წინამდებარე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთვოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასალიარებული სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10. დაწესებულების სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას წინამდებარე მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი დაწესებულებას არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, დაწესებულება განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. აღნიშნულის შესახებ დაწესებულება ახდენს განმცხადებლის ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
11. დაწესებულების მიერ წინამდებარე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.
12. თუ დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარუდგენს შესაბამის დოკუმენტს, დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ბრძანებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
13. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ წინამდებარე მუხლის 5.2. პუნქტის საფუძველზე შექმნილი კომისია (შემდგომში - კომისია) უზრუნველყოფს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.
14. კომისია შედგება 3 წევრისგან. კომისიის შემადგენლობაში შედის:
 - 14.1. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;
 - 14.2. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი;
 - 14.3. კოლეჯის იურისტი.
15. კოლეჯს უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.
16. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
17. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
18. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
19. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის

მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

20. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
21. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.
22. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
 - 22.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის / შედეგების აღიარების შესახებ;
 - 22.2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის / შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
23. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
24. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.
25. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულების დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
 - 25.1. დაწესებულების დასახელება;
 - 25.2. განმცხადებლის ვინაობა;
 - 25.3. იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
 - 25.4. აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
 - 25.5. გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
 - 25.6. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
26. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს დირექტორის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
27. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით

ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება დირექტორის სახელზე წარდგენილი პირადი/კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის საჩივრის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში საჩივარის რეგისტრაციიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში საქმისწარმოების მენეჯერი ამოწმებს აღნიშნული საჩივრის შესაბამისობას საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ მოთხოვნებთან (თუ კი საჩივარი შეუსაბამოა აღნიშნულ მოთხოვნებთან, საქმის წარმოების მენეჯერი წერილობით განუსაზღვრავს საჩივრის ავტორს 5 დღის ვადას ხარვეზის გამოსწორებისათვის), რის შემდგომაც დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო კომისია და განისაზღვრება საკითხის განხილვის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ კვირას. განხილვის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საჩივრის ავტორს და განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები აღნიშნული განხილვის ფარგლებში.

28. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, დარგის სპეციალისტი - პროფესიული განათლების მასწავლებელ(ებ)ი (პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი). კომისია საოქმო დადგენილების სახით აფორმებს პასუხს პროფესიული სტუდენტის საჩივარზე. აღნიშნული პასუხი პროფესიულ სტუდენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
29. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების რეესტრის წარმოების სპეციალისტის მიერ.
30. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სწავლის შედეგების აღიარება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
31. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის წინამდებარე წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.
32. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. არაფორმალური განათლების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

1. არაფორმალური განათლების აღიარება უფლებამოსილი დაწესებულებების მიერ ხორციელდება „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 სექტემბრის N188/ნ ბრძანების საფუძველზე.
2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან

1. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება:

2. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევენ დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, კერძოდ, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის პირველივე სასწავლო დღეს ეწყობა გაცნობითი შეხვედრა, სადაც ხორციელდება პროფესიული სტუდენტების ინფორმირება დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ, სტუდენტებს ეძლევათ განმარტება დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ.

აღნიშნული შეხვედრა სრულდება დაწესებულების შენობაში ექსკურსიის მოწყობით.

მუხლი 9. პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

პროფესიული სტუდენტი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის განსახორციელებლად დაწესებულება იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

1. პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისაზრისით. შეხვედრის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის

შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

2. სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი პერიოდულად, ორგანიზებას უწევს პროფესიულ სტუდენტებთან ჯგუფურ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც იკვეთება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და აღნიშნულის მიხედვით იგეგმება სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობათა განხორციელება.

3. პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის მიერ მომართვის შემთხვევაში, მომართვიდან ორი დღის განმავლობაში სასწავლო პროცესის მენეჯერი გეგმავს შეხვედრას აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც განიხილავენ მის/მათ საჭიროებებს, უწევენ კონსულტაციებს და შესაბამისად რეაგირებენ.

4. პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააკადემიო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ცნობის გაცემა - მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

შენიშვნა: პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგების გაცნობა და ინდივიდუალური კონსულტაცია წარმოებს კონფიდენციალურად. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა მიიჩნევა გადაცდომად.

მუხლი 10. სტუდენტური სერვისები

კოლეჯი საგამანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის შემდეგ სერვისებს:

1. სწავლის პერიოდში უზრუნველყოფს სტუდენტებს საკონსულტაციო მომსახურებით, პროფესიული განათლების მასწავლებლები სისტემატურად უწევენ კონსულტაციებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. დამატებითი აქტივობების განხორციელებას. პროგრამის განხორციელების პერიოდში სისტემატურად ეწყობა სტუდენტთა აკადემიური კონცერტები და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები;
3. პროფესიული სტუდენტების კარიერულ მხარდაჭერას: კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ბაზრის კვლევის საფუძველზე ქმნის დამსაქმებელთა ელექტრონულ ბაზას და ეხმარება პროფესიულ სტუდენტებს ვაკანსიების მოძიებაში;
4. პროფესიული სტუდენტების მოზიდვას და პროფორიენტაციის ღონისძიებების განსაზღვრას; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ წლის განმავლობაში ტარდება პროგრამის ხელმძღვანელთა შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან, ეწყობა ვებინარები, ღია კარის დღეები, თავსდება სარეკლამო რგოლები სოციალურ ქსელსა და კოლეჯის ვებგვერდზე, ვრცელდება სარეკლამო ფლაერები.

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები

1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი არის პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;
 2. კოლეჯის სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარების და ღირებულებების შესაძენად;
 - ბ) კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური, ინტერნეტ საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით;
 - გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობის შესახებ;
 - დ) აირჩიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
 - ე) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
 - ვ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება;
 - ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სწავლა გააგრძელოს კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
 - თ) ითხოვოს გათავისუფლება ლექციებიდან, თუ ამისთვის გააჩნია დასაბუთებული მიზეზი (ექიმის ცნობა, განცხადება) ან არის შეუძლოდ;
 - ი) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;
 - კ) ინფორმირებული იყოს შეფასების სისტემისა და პროცედურების შესახებ.
 - ლ) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობის და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.
3. პროფესიული სტუდენტებისთვის საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობა ხორციელდება ყოველ ახალ ნაკადთან გაცნობითი საინფორმაციო შეხვედრების და ელექტრონულ საშუალებებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობის გზით. აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი პირები არიან კოლეჯის იურისტი და სასწავლო პროცესის მენეჯერი.
 4. სწავლასა და შემოქმედებით საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისა და სამუსიკო კოლეჯის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას წახალისების ფორმა-მადლობის გამოცხადება;
 5. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისას ენიჭება შესაბამისი სპეციალობის შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გადაეცემა პროფესიული დიპლომი.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ვალდებულებები

1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს გააჩნია შემდეგი ვალდებულებები:

- ა) არ გააცდინოს ლექციები უმიზეზოდ;
- ბ) არ დაიგვიანოს ლექციაზე;
- გ) აქტიურად იყოს ჩართული სწავლის პროცესში.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის აკადემიური შვებულება

- 1. კოლეჯში სწავლის პერიოდში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს აიღოს აკადემიური შვებულება სამ წლამდე ვადით. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის/მსმენელის გასვლა აკადემიურ შვებულებაში და აკადემიური შვებულებიდან დაბრუნება.
- 2. კოლეჯის ადმინისტრაცია გასცემს შესაბამის ცნობას სტუდენტის/მსმენელის მიერ აკადემიური შვებულებით სარგებლობის შესახებ.
- 3. აკადემიური შვებულების აღების მიზნით სტუდენტმა/მსმენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს. გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე ბრძანებით იღებს დირექტორი.
- 4. სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაიცვას აკადემიური შვებულებისათვის დადგენილი ვადები.

მუხლი 14. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ქცევის წესები

- 1. კოლეჯის პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ვალდებული არიან ზედმიწევნით დაიცვან კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე ეთიკის ნორმები კოლეჯის პერსონალთან ურთიერთობისას. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობებისადმი უნდა ხასიათდებოდეს მობილურობით და ინიციატორობით.
- 2. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეკრძალებათ:
 - ა) თამბაქოს მოწევა კოლეჯის შენობაში;
 - ბ) სასწავლო საათებში მობილური ტელეფონით სარგებლობა, ხმაური და მეცადინეობებისათვის ხელის შეშლა;
 - გ) აზარტული თამაშები, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების, აგრეთვე პოლიტიკური და რელიგიური სააგიტაციო, სარეკლამო ფურცლებისა და პროკლამაციების შემოტანა და გავრცელება, მსგავსი წარწერების გაკეთება შენობაში;
 - დ) კოლეჯის ტერიტორიაზე პოლიტიკური ხასიათის გამოსვლებისა და მიტინგების მოწყობა;
 - ე) პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ცეცხლსასროლი, გაზის ან საფანტის იარაღით შემოსვლა (თუ სტუდენტს უფლება აქვს ატაროს იარაღი, კოლეჯის ტერიტორიაზე იგი ვალდებულია ჩააბაროს იარაღი კოლეჯის დაცვის სამსახურს აღნიშნული ტერიტორიის დატოვებამდე).
- 4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი შეხედულებები, გამოთქმული კოლეჯის პერსონალის თანდასწრებით, აგრეთვე პოლიტიკური, რელიგიური და სხვა სახის ინფორმაცია,

რომელიც ცნობილი გახდა კოლეჯის პერსონალისთვის, სასწავლო პროცესის განხორციელებისას კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის თანხმობა ინფორმაციის გამჟღავნებაზე ან საკითხი ეხება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კანონიერ უფლებას ადმინისტრაციის მხრიდან. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვების, შენახვისა და გაცემის პროცედურების განხორციელებისას კოლეჯის ადმინისტრაციამ უნდა იხელმძღვანელოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით.

5. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ კოლეჯის ტერიტორიაზე დადგენილი ქვევის წესების დარღვევის შემთხვევაში, დაცვის სამსახურს უფლება აქვს მიიღოს საჭირო ზომები დამრღვევი პირის მიმართ, ხოლო თუ ქმედება შეიცავს ადმინისტრაციული გადაცდომისა და დანაშაულის ნიშნებს, გამოიძახოს საპატრულო პოლიცია შესაბამისი რეაგირებისათვის.

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი საქმის წარმოება

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის „პირადი საქმე“ იქმნება მისი კოლეჯში ჩარიცხვისთანავე და მას აწარმოებს კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი.

2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი საქმე მოიცავს საბუთების მიღების ეტაპზე წარმოდგენილ ყველა დოკუმენტს:

ა) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის არასრულწლოვნების შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ორი ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3/4-ზე;

ე) სრული ზოგადი/უმადლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი/ნოტარიულად დამოწმებული ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი განათლების მიღების გარეშე (დედანი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, ასლი შესაძლებელია დამოწმდეს კოლეჯის იმ თანამშრომლის მიერ, ვინც განახორციელა შესაბამისი დოკუმენტის მიღება;

ვ) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების მიღების შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ (დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

ზ) დისციპლინის დარღვევის ან/და წახალისების ზომის გამოყენების შესახებ

კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს;

თ) მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.

ი) ნებისმიერ ისეთ დოკუმენტს, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირშია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებებსა და მოვალეობებთან.

3. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში მოთავსებული დოკუმენტაცია წარმოადგენს კოლეჯის საკუთრებას (გარდა უშუალოდ დედნის სახით წარმოდგენილი დოკუმენტისა) და რჩება კოლეჯში.

მუხლი 16. სასწავლო პროცესი

1. ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად;
2. სტუდენტთა სწავლება შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში.
3. პროფესიულ სტუდენტთა სწავლისა და დასვენების დრო განისაზღვრება ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილით. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით და სწავლის დაწყებამდე განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.
4. ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების ხანგრძლივობა შეადგენს ერთ ასტრონომიულ საათს (აკადემიური საათი - 50წთ, შესვენება - 10 წთ).
5. სტუდენტთა თითოეული ჯგუფისთვის წარმოებს სტუდენტის მეცადინეობაზე დასწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ჟურნალი, რომელიც ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან.
6. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ყოველდღე, გარდა კვირისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული დასვენების დღეებისა.

მუხლი 17. სასწავლო პროცესის ორგანიზება სასწავლო პროცესის დისტანციურად/შერეული ფორმით განხორციელებისას

1. სსიპ -ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში დისტანციური სწავლების პროცესი ხორციელდება სასწავლო განრიგით (ცხრილი) გათვალისწინებული დროის, ხანგრძლივობისა და კალენდარული გეგმის შესაბამისად. პროცესის ორგანიზებასა და მხარდაჭერას ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაცია.
2. დისტანციური სწავლების შემთხვევაში, ერთი სალექციო საათი მოიცავს 50 წუთს.
3. პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები დისტანციური სწავლების პროცესში ერთვებიან ელექტრონული სასწავლო პლატფორმის მეშვეობით, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სალექციო პროცესის ჩაწერა და შენახვა.

4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში მიწოდებული/გამოქვეყნებული სასწავლო განრიგის (ცხრილი) შესაბამისად და ხელი შეუწყოს სალექციო პროცესის ნორმალურ ჩატარებას.
5. პროფესიული სტუდენტი ონლაინ სივრცეში შემოსვლით და ჩართულობით ადასტურებს სასწავლო პროცესზე დასწრებას/მონაწილეობას.
6. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ჩართოს ან გამორთოს ვიდეო და აუდიო რეჟიმი, გააზიაროს სამუშაო ეკრანი, ასევე ელექტრონულ პლატფორმაზე შემოსვლის შემდეგ იდენტიფიცირების მიზნით დაფიქსირდეს სახელითა და გვარით.
7. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩართვის შერჩეულ სისტემაში დაფიქსირდეს კოლეჯის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და არ დაუშვას ჩართვაში უცხო პირთა მონაწილეობა.
8. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შერჩეულ ელექტრონულ პლატფორმაზე დარეგისტრირდეს, შექმნას საკუთარი ანგარიში და უზრუნველყოს ყველა პროფესიული სტუდენტისთვის დადგენილი სასწავლო განრიგის (ცხრილი) მიხედვით შესაბამისი ჩართვის/სასწავლო კვირის ბმულის მიწოდება.
9. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დისტანციური ჩართვა განახორციელოს შესაბამისი გარემოდან.
10. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია განახორციელოს საკონტაქტო/შეფასების საათების ჩატარების ვიდეო ჩანაწერი და მიაწოდოს სასწავლო პროცესის მენეჯერს შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისა და განკარგვის მიზნით.
11. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგში ჩართულ პირებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.
12. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დროულად მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს შესასრულებელი დავალებების, აქტივობების ვადები და გასწორებული ნამუშევრები.
13. დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტი ვალდებულნი არიან დაიცვან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, არ გააზიარონ ლექციის ვიდეოჩანაწერები, ბმულები, პაროლები სოციალური მედიის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

მუხლი 18. სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:
 - ა) დაწესებულების შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით;
 - ბ) დაცვის სამსახურის თანამშრომლის გამოყოფას შეუფერხებელი გადაადგილებისათვის დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე.
 - გ) ადმინისტრაციის თანამშრომლის მიმაგრებას, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირის კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.
2. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს აგრეთვე, მობილობის წესით გადმოსული, პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის და ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანილი პროფესიული სტუდენტებისათვის თავსებადი სწავლის შედეგების აღიარებასა და მიღწევის შესაძლებლობებს.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:
 - 6.1. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;
 - 6.2. მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტის, სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;
 - 6.3. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.
7. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/ქმედუნარიო/შეზღუდულ

ქმედუნარიანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

8. მე-6 პუნქტის 6.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს სასწავლო პროცესის მენეჯერს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შესახებ. სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელთან, და პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად, წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის მონაწილეობით, გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების ხელმძღვანელს.
9. მე-6 პუნქტის 6.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივ და გავლილი მოდულების აღიარების შესაძლებლობის საკითხებს. შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის გადაწყვეტილების საფუძველზე ამზადებს სამსახურებრივ ბარათს მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს.
10. მე-6 პუნქტის 6.3. ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში), პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო განრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად სტატუსადგენილი პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით.
11. მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისას პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს. შესაბამისად, კოლეჯი უფლებამოსილია, ავტომატურად ჩაუთვალოს მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს გავლილი მოდულები/სწავლის შედეგები.
12. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება კრედიტი. ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში კი, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიული სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.
13. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტობის მიზნით ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო

გეგმას და უზრუნველყოფს მიმდინარე სასწავლო ჯგუფების პროფესიული სტუდენტების გადაყვანას ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

14. ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანის შემთხვევაში კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში.

15. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

16. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრულ უნდა იქნას მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

17. დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/პროგრამის განხორციელების კონტროლს ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხოლო პროცესზე მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

17. ვირუსული ინფექციის პანდემიის დროს პროფესიული განათლების სტუდენტისთვის, რომელიც იმყოფება კარანტინში ან თვითიზოლაციაში, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

მუხლი 19. კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯის კურსდამთავრებულს ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში. პროფესიულ კვალიფიკაციას, დადგენილი წესის თანახმად, ანიჭებს კოლეჯი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

2. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი:

ა) დეტალურად შეისწავლის სასწავლო კურსის ფარგლებში თითოეული პროფესიული სტუდენტის მიღწევებს;

ბ) ადგენს, შესრულებული აქვს თუ არა პროფესიულ სტუდენტს პროგრამის მოთხოვნები და, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს მათი გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას(10 დღე) და საჭირო რეკომენდაციებს;

გ) პროფესიულ სტუდენტთა მიერ დადსტურებული შედეგების საფუძველზე ამზადებს შესაბამის დასაბუთებულ სამსახურებრივ ბარათს კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

დ) კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერის სამსახურებრივ ბარათში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

5. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, ღებულობს კოლეჯის დირექტორი, რის საფუძველზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

6. კვალიფიკაციას ადასტურებს კოლეჯის დირექტორის მიერ ხელმოწერილი და კოლეჯის ბეჭდით დამოწმებული პროფესიული დიპლომი (იხ. „დიპლომების ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა– ანგარიშგების წესი“, ბრძ.N1/30 17.05.2021წ.

7. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და ეძლევა სათანადო მოწმობა.